



№ 18/1366-16



**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**  
საქართველოს სახელით  
საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ

19 აგვისტო 2016 წელი  
თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე  
გიორგი მიროტაძემ**

ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორ ირაკლი გულდედავას საჩივარი, საგამოძიებო მოქმედების (ამოღების) ჩასატარებლად ნებართვის გაცემის თაობაზე უარის თქმის შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ვეფხია ლომიძის 2016 წლის 16 აგვისტოს განჩინებაზე და

**გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :**

2015 წლის 18 დეკემბერს, თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N01018121580 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, შპს „ი. ჯ.“-ის მოლარე-ოპერატორ ე. ე.-ს მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, აღნიშნული შპს-ს კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხის მითვისების ფაქტზე.

აღნიშნულ საქმეზე, 2016 წლის 15 აგვისტოს თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორმა ირაკლი გულდედავამ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა შპს „ი. ჯ.“-ის ლომბარდიდან (მდებარე თბილისში, დ. მ.-ს მე-X კვარტალში, მე-X კორპუსის პირველ სართულზე) შპს-ს კუთვნილი პერსონალური კომპიუტერის პროცესორის ამოღების ჩასატარებლად ნებართვის გაცემა, მისი შემდგომში დათვალიერების, ექსპერტიზის ჩატარებისა და ასევე პროგრამის სამუშაო და არქივის ვერსიის შედარებისათვის, რათა დადგინდეს ხომ არ ჰქონდა ადგილი ე. ე.-ს მიერ თანხების მითვისებისთვის კომპიუტერის პროგრამიდან ხელშეკრულებების წაშლას (იხ.: შუამდგომლობა).

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ვეფხია ლომიძის 2016 წლის 16 აგვისტოს განჩინებით პროკურორის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული ნივთი შეიძლება შეიცავდეს არამართო გამოძიებისათვის საჭირო ინფორმაციას, არამედ მისი მომხმარებლების შესახებ პირად ინფორმაციასაც, რაც არ წარმოადგენს გამოძიებისათვის საჭირო ინფორმაციას. ამასთან, აღნიშნული ნივთის ამოღება შეაფერხებს შპს „ი. ჯ.“-ის სრულყოფილ ფუნქციონირებას და ხელს შეუშლის მის საქმიანობას.



აღნიშნული განჩინება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივრა პროკურორმა ირაკლი გულდედავამ, რომელიც ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და შპს „ი. ჯ.“-ის კუთვნილი პერსონალური კომპიუტერის, რომელიც მდებარეობს

პროცესორის ამოღების ჩასატარებლად ნებართვის გაცემას. ამასთან, საჩივარს ერთვის დაზარალებულ შპს „ი. ჯ.“-ის დირექტორ ი. ც.-ს 2016 წლის 16 აგვისტოს (18:20 საათიდან 18:50 საათამდე პერიოდში ჩატარებული) გამოკითხვის ოქმი, სადაც საწარმოს დირექტორი განმარტავს, რომ ოფისში არსებულ კომპიუტერს, რომელშიც ჩაწერილია პროგრამა „PARS“-ი და რომელშიც ფორმდება სალომზარდე ხელშეკრულებები, იყენებენ მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის, კომპიუტერში არსებული ინფორმაცია შეეხება მხოლოდ შპს-ს საქმიანობას და პირადი ხასიათის შემცველი ინფორმაცია მასში არ არის. ამასთან, ლომზარდს აქვს სათადარიგო კომპიუტერი, სადაც შესაძლებელია ჩაიწეროს პროგრამა „PARS“-ი, რასაც სჭირდება ერთი საათი და შესაბამისად, შპს-ს კუთვნილი პერსონალური კომპიუტერის გამოიძიების მიერ ამოღების შემთხვევაში, რაც ასევე მათ ინტერესებშიც შედის, შპს „ი. ჯ.“-ის საქმიანობას ხელი არ შეეშლება, რადგან სათადარიგო კომპიუტერით განაგრძობენ მუშაობას (იხ.: საჩივარი და დაზარალებულის გამოკითხვის ოქმი).

სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მასალები იძლევა საჩივარში მითითებული გარემოებების ზეპირი მოსმენის გარეშე სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას და არ არსებობს საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის აუცილებლობა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიამ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, განიხილა საჩივარი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს და მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში ამოღება ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ და ამოღებულ იქნას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი შეიძლება ამოღებულ იქნეს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მისი ძებნა საჭირო არ არის. ხოლო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამოღების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში – გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე გამომძიებელს უფლება აქვს, საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის აღმოსაჩენად და ამოსაღებად შევიდეს საცავში, სადგომში, სათავსში ან სხვა მფლობელობაში.

ამდენად, ამოღების ჩასატარებლად, უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ საქმისათვის მნიშვნელოვანი საგანი, დოკუმენტი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს, მასში კონკრეტულად უნდა იყოს გადმოცემული ჯერ მოთხოვნა და შემდეგ მოთხოვნის არგუმენტაცია და იგი უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ საკითხებთან.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დგინდება, რომ შპს „ი. ჯ.“-ის (იურიდიული მისამართი თბილისი, ვ. ს.-ს რაიონი, ა. ყ.-ს გამზირი #XX, ბინა #XX, ს/ნ XXXXXXXXX) ლომზარდი ფუნქციონირებს თბილისში, დ. მ.-ს მე-X კვარტალში, მე-X კორპუსის პირველ სართულზე, სადაც შპს-ს კუთვნილი პერსონალურ კომპიუტერში მოლარე-ოპერატორის მიერ ხდებოდა სალომზარდე ხელშეკრულებების გაფორმება და დადგენილია ისიც, რომ რიგ შემთხვევებში კომპიუტერიდან წაშლილია ხელშეკრულებათა ნაწილი, ხოლო მათი ნუმერაცია კი არის არეული. შესაბამისად, საფუძვლიანია ეჭვი იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ამ ხერხით ხდებოდა ორგანიზაციის თანხების მითვისება კონკრეტული პირის მიერ, რომლის გადამოწმებისთვისაც აუცილებელია



ჩატარდეს მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები. თუმცა, მათი ჩატარება ფაქტობრივად შეუძლებელია მითითებული კომპიუტერის პროცესორის გამოძიების მიერ ამოღების გარეშე.

კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ინსტანციაში წარდგენილი მასალებით არ დგინდებოდა აღნიშნული კომპიუტერი შეიცავდა თუ არა პირადი ხასიათის ინფორმაციას და ასევე კომპიუტერის პროცესორის ამოღებით, ხომ არ მოხდებოდა შპს-ს საქმიანობის შეწყვეტა, რის გამოც სასამართლოში წარდგენილი მასალებიდან გამომდინარე თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ვეფხია ლომიძემ 2016 წლის 16 აგვისტოს განჩინებაში სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა არსებულ გარემოებებს.

თუმცა, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ბრალდების მხარის მიერ საჩივართან ერთად წარმოდგენილი იქნა დაზარალებული მხარის, შპს „ი. ჯ.“-ის დირექტორ ი. ც.-ს გამოკითხვის ოქმი, რომლის განმარტებითაც დგინდება, რომ შპს-ს ოფისში არსებულ კომპიუტერში ჩაწერილია პროგრამა „PARS“-ი, რომელშიც ფორმდება სალომზარდე ხელშეკრულებები და ამ კომპიუტერის გამოყენება ხდება მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის, შესაბამისად, კომპიუტერში არსებული ინფორმაცია შეეხება მხოლოდ შპს-ს საქმიანობას და იგი პირადი ხასიათის ინფორმაციას არ შეიცავს. ამასთან, შპს „ი. ჯ.“-ის დირექტორმა განმარტა, რომ ლომზარდს გააჩნია სათადარიგო კომპიუტერი და გამოძიების მიერ შპს-ს კუთვნილი პერსონალური, სამუშაო კომპიუტერის ამოღების შემთხვევაში, შპს-ს საქმიანობას ხელი არ შეეშლება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის შეფასებით კონკრეტულ საქმეზე ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც შეეხება მოცემულ სისხლის სამართლის საქმეს, იძლევა საკმარის ფაქტობრივ საფუძველს საგამოძიებო მოქმედების - ამოღების ჩასატარებლად. მოცემულ ეტაპზე, ის საფუძველები, რომლითაც პირველი ინსტანციის სასამართლომ უთხრა უარი ბრალდების მხარეს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე აღარ არსებობს და საკითხის სააპელაციო სასამართლოში განხილვის მომენტიცაა, ბრალდების მხარის მოთხოვნა აკმაყოფილებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად განჩინების გაცემის საპროცესო კრიტერიუმებს. ასეთ ვითარებაში მოთხოვნილი ნივთის (რომელიც ინახება კონკრეტულ ადგილას) ამოღება პირდაპირ უკავშირდება გამოძიებისათვის საჭირო მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებას და ასაბუთებს მის პირდაპირ კავშირს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ვეფხია ლომიძის 2016 წლის 16 აგვისტოს განჩინება პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და უნდა გაიცეს ნებართვა სისხლის სამართლის #010181215801 საქმეზე, შპს „ი. ჯ.“-ის (ს/ნ XXXXXXXXX) კუთვნილი პერსონალური კომპიუტერის (რომელშიც ჩაწერილია პროგრამა „PARS“-ი და რომელშიც ფორმდება შპს-ს მიერ სალომზარდე ხელშეკრულებები) პროცესორის ამოღების თაობაზე.

### ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე, 119-120-ე, 207-ე მუხლებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე :



1. თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორ ირაკლი გულდედავას საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ვეფხია ლომიძის 2016 წლის 16 აგვისტოს განჩინება საგამოძიებო მოქმედების (ამოღების) ჩატარებაზე ნებართვის გაცემის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
3. შპს „ი. ჯ.“-ის (ს/ნ XXXXXXXXXX, იურიდიული მისამართი: თბილისი, ვ. -ს. რაიონი, ა. ყ. -ს გამზირი #XX, ბინა #XX) ფაქტიური მისამართიდან (მდებარე: თბილისში, დ. -ს მ. -ს მე-X კვარტალი, მე-X კორპუსის პირველ სართული), სადაც განთავსებულია ლომბარდი, ამოღებული იქნას შპს-ს კუთვნილი პერსონალური კომპიუტერის პროცესორი (რომელშიც ჩაწერილია პროგრამა „PARS“-ი და ფორმდება სალომბარდე ხელშეკრულებები).
4. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა განისაზღვროს 30 (ოცდაათი) დღით, ხოლო თუ საგამოძიებო მოქმედება არ დაიწყება 30 (ოცდაათი) დღის ვადაში განჩინება ჩაითვალოს ძალადაკარგულად;
5. განჩინების შესრულება (ამოღების ჩატარება) დაევალოს თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების თანამშრომლებს;
6. საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელ პირს ან ორგანოს უფლება აქვს წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში გამოიყენოს იძულების პროპორციული ზომა;
7. განჩინება შესასრულებლად და ცნობისათვის, გაეგზავნოთ და გადაეცეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის პირებსა და ორგანოებს;
8. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლე  
გიორგი მიროტაძე